პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 220 (3450) 12 1967 წ. ნოემბერი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

ბაცელაშვილს ირაკლი ბეგლარის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსს.

ბოჭორიძეს ივანე ივანეს-ძეს — სპორტულ საზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს.

გაზაევს ნიკოლოზ გიორგის-ძეს — ქ. ცხინვალის სპეციალიზირებული საბავშვო მძლეოსნობის სკოლის დირექტორს.

გორგასლიძეს შალვა თეოფანეს-ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

კანდელაკს ვიქტორ ვიქტორის-ძეს — საქართველოს სსრ ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს.

ლომინაძეს კონსტანტინე ბესარიონის-ძეს — საქართველოს სსრ ფრენბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს.

მაჩაბელს თეიმურაზ სოლომონის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

მეუნარგიას გრიგოლ კაპიტონის-ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლის უფროსს.

პაიჭაძეს ბორის სოლომონის-ძეს — სპორტულ კომბინატის „დინამოს" დირექტორს.

ხეფაშვილს ნიკოლოზ გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის უფროს მეთოდისტს.

სვეტილკოს ვლადიმერ კირილეს-ძეს — „დინამოს" საქართველოს საბჭოს ძალოსნობის მწვრთნელს.

სიხარულიძეს გიორგი ვასილის-ძეს — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარეს.

ხუხიშვილს შოთა მიხეილის-ძეს — სოფლის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" თავმჯდომარის მოადგილეს.

თურქიას მიხეილ გრიგოლის-ძეს — სპორტული საზოგადოების „დინამოს" აფხაზეთის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

უუფარაძეს მარიამ ლუკას ასულს — პენსიონერს.

ჩაჩავას ალექსანდრე მიტროფანეს-ძეს — აფხაზეთის ასსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

ჩიკვაიძეს დიმიტრი ვლადიმერის-ძეს — საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

წერეთელს არჩილ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

ხარაშს იაკობ ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს.

ჯაფარიძეს პეტრე ეროფინეს-ძეს — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის უფროს მასწავლებელს.

ჯინჭარაძეს გიორგი მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, **1967 წლის 11 ნოემბერი.**

ნუთუ მხოლოდ გელერი?

სუსი, 11 ნოემბერი. საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა, მაგრამ უკვე ცხადია, ჩვენს დიდოსტატებს წარუმატებლობა რომ ხვდათ წილად. მხოლოდ გელერს აქვს საშუალება მოხვდეს საპრიზო ექვსეულში. ლენინგრადელ კორჩნოისაც შეუძლია ფინალის საგზური მიიღოს, მაგრამ ეს ძალზე ძნელი საქმეა. ამისათვის მან უკანასკნელ 4 ტურში არანაკლებ 3,5 ქულა უნდა დააგროვოს. ჩვენს მოჭადრაკეებს საზონათშორისო შეჯიბრებებში ასეთი რამ არ შემთხვევიათ. საკმარისია გავიხსენოთ სამი წლის წინანდელი ტურნირი, სადაც ექვსი ადგილიდან სამი საბჭოთა დიდოსტატებმა მოიხვეჭეს. ესენი იყვნენ სმისლოვი, სპასკი და ტალი. ალბათ, ჩვენებმა ვერ შეაფასეს თავიანთი მეტოქეები და ცუდად მოემზადნენ ამ საპასუხისმგებლო ტურნირისთვის.

ამჟამად, სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა. ლარსენს 13,5 ქულა აქვს, პორტიშს — 12, გელერსა და გლიგორიჩს — 11,5-11,5. ივკოვსა და მატულოვიჩს — 11-11, მატანოვიჩს და კორჩნოის — 10,5-10,5.

დაზვერვა ბრძოლით

ახლახანს საბჭოთა ხელბურთელებმა რამდენიმე მატჩი გამართეს საზღვარგარეთ. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა ჯერ იყო და, ორჯერ დაამარცხა დანიის ნაკრები (13:9 და 11:9), ხოლო შემდეგ ესტუმრა ნორვეგიას და ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთანაც ორჯერ მოიგო (15:10 და 24:6). ამ მატჩებში ყველაზე შედეგიანი გახლდათ ვ. ქიდეხი. როგორც სსრ კავშირის ხელბურთის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ნ. სუსლოვმა განაცხადა, ჩვენი გუნდი ამთავითვე შეუდგა მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ერთი წლის შემდეგ გაიმართება სსრ კავშირში.

ახლახანსვე საზღვარგარეთ დებიუტი ჰქონდა სსრ კავშირის ვაჟთა ახალგაზრდულ ნაკრებს. ჩვენი იუნიორები ეწვივნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და ერფურტსა და დესაუში ორი შეხვედრა გამართეს. ორივე მატჩში წარმატება დებიუტანტებს ხვდათ წილად (21:20 და 21:11). ამ შეხვედრებში კარგი თამაშით თავი გამოიჩინა კრასნოდარელმა ვ. მაქსიმოვმა.

ნოემბრის მეორე ნახევარში სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდები მონაწილეობას მიიღებენ „ბუქარესტის თასის" გათამაშებაში, სადაც მათი მეტოქეები იქნებიან მსოფლიოს უძლიერესი გუნდები. ბუქარესტში ჩასვლამდე ჩვენი ვაჟთა გუნდი რამდენიმე საწვრთნელ მატჩს გამართავს ბულგარეთში.

პირველი ადგილი და 5 „ოქრო"

ბუდაპეშტი, 10 ნოემბერი. „ოლიმპიური იმედების" მოკრივეთა აქ გამართულ შეჯიბრებაში, რომელშიც 9 ქვეყნის 22 წლამდე სპორტსმენები ასპარეზობდნენ, კარგად გამოვიდნენ სსრ კავშირის წარმომადგენლები. მათ საერთო გუნდურ გამარჯვებასთან ერთად, მოიპოვეს ოქროს 5 და ვერცხლის 4 მედალი. ოქროს მედლები მოიხვეჭეს ჩებოქსარელმა ვ. სოკოლოვმა, ტაშკენტელებმა ნ. ხრომოვმა და გ. იაბლოკოვმა, მოსკოველმა ა. ალექსეევმა და ვოლგოგრადელმა ი. ნესტეროვმა.

ახალი ამბები

● **მეხიკო, 10 ნოემბერი.** მომავალი ოლიმპიადის ქვეყანაში მიმდინარეობს მრავალდღიანი ველორბოლა. მეექვსე ეტაპის ფინიშთან, რომელიც ქალაქ სან-ლუისში მოეწყო, პირველი იყო ახალგაზრდა მექსიკელი ა. ვილანი, რომელმაც 202 კილომეტრი 4:53,31-ში დაფარა. ასეთივე შედეგი ჰქონდა ხარკოველ ა. ზახაროვსაც, რომელსაც მეორე ადგილი მიენიჭა. ექვსი ეტაპის შემდეგ საბჭოთა გუნდი „ბურევესტნიკი" მეოთხე ადგილზეა.

● **პრაღა, 10 ნოემბერი.** ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის ფეხბურთელთა გუნდი „სლავია" გაემგზავრა ხანგრძლივ მოგზაურობაში. ამ კოლექტივს ხელმძღვანელობს წარსულში სახელგანთქმული მეკარე ფ. პლანიჩკა. პირველ იანვრამდე გუნდი გამართავს 16 შეხვედრას ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, კამბოჯაში, ინდოეთსა და ირანში.

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში



ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმისთვის სამზადისს საბჭოთა სპორტსმენებმა ახალი წარმატებებით უპასუხეს არა მარტო საერთაშორისო სარბიელზე გამართულ ტურნირებში, არამედ ახალი ბაზების ქსელის გაფართოების საქმეშიც. ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქს, და რაიონულ ცენტრში, სოფელში აიგო სპორტული ნაგებობანი. ერთი მათგანი ამ სურათზეა აღბეჭდილი. ფოტოზე თქვენ ხედავთ ჩებოქსარელ სპორტსმენთა საზეიმო საჩუქარს — სპორტის სასახლის საცურაო აუზს, რომელიც პირველია ჩუვაშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და უველაზე დიდი სპორტული ნაგებობაა ქალაქში.

ფოტო ვ. ვოიტენკოსი.

ოლიმპიელები ბჭობენ

87 დღე დარჩა გრენობლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე. დარჩენილ დროში საბჭოთა სპორტსმენების უკეთ მომზადების საკითხს ეხებოდა საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში მოწვეული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სპორტსმენები, მწვრთნელები, მეცნიერები, საზოგადოებრივი მუშაკები და სხვ.

ოლიმპიური თამაშებისადმი მზადების შესახებ დამსწრეებს ესაუბრა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს სპორტის ზამთრის სახეობების ფედერაციათა ბიუროს თავმჯდომარე ლ. სვირიდოვი. მან რწმენა გამოთქვა, რომ სპორტსმენები და მათი აღმზრდელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა წარმატებით გამოვიდნენ გრენობლში.

შეკრებაზე გამოვიდნენ ოლიმპიური ჩემპიონები ლ. სკობლიკოვა და ო. პროტოპოპოვი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი თ. მოსკვინა, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ხათხილამურო სპორტში ბ. კამენსკი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. რომანოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ჟაროვი, მწერალი ლ. კასილი, სსრ კავშირის გმირი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მოსოლოვი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ლამოჩკინი, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. მაშინი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. კამშალოვი. შეხვედრას ესწრებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. ზუბკოვი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

I „ა" ჯგუფი, შედეგი

როსტოვი, 11 ნოემბერი. დღეს აქ შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ითამაშეს ადგილობრივმა ასკ-ამ და მოსკოვის „ტორპედომ". გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0.

გუშინ...

თბილისში, „ისნის" სტადიონზე გამართული შეხვედრა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" დუბლიორებს შორის, მოიგეს „სპარტაკელებმა — 1:0.

ქუთაისში ადგილობრივი „ტორპედოს" დუბლიორები დამარცხდნენ მოსკოვის „დინამოსთან" — 0:1.

ნახევარფინალიდან გამარჯვებამდე

სურათზე: ვ. კლიმენტიევი (მარცხნივ) და ს. ლიომინიდი საუბრობენ მომავლის გეგმებზე.

ფოტო ავტორისა.

ვალერი კლიმენტიევი 16 წლის იყო, როცა მოტოკროსს ეზიარა, ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში სამსახურისას კი უფრო სრულყო მომზადების ტექნიკა. იგი წარმატებით გამოდიოდა საქართველოს ჩემპიონატებში. ჩვენი რესპუბლიკის ღირსება საკავშირო სარბიელზეც დაუცავს. და აი, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისისას სპიდვეიში საქართველოს დოსააფის გუნდის მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ს. ლიომინიდიმ კლიმენტიევს სპიდვეიში ვარჯიში ურჩია.

სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაზე იგი ნახევარფინალში გავიდა. ეს იყო სპორტსმენის პირველი წარმატება. შემდეგ ლვოვში, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა იუნიორების ჩემპიონატში სცადა ძალა და IV ადგილი დაისაკუთრა. ერთი თვის მერე კი — ელისტაში, სსრ კავშირის თასის გათამაშებაში კლიმენტიევმა პირველობა მოიგო. საქართველოს გუნდი II ადგილზე გავიდა. და ბოლოს, მოსკოვში „ოქროს შემოდგომის“ თასზე გამართულ საკავშირო ტურნირში, საკისრების ქარხნის სტადიონზე ნიჭიერმა სპორტსმენმა ყველას აჯობა და თასიც დაისაკუთრა. ამასთან სტადიონის რეკორდიც დაამყარა — 1.11,4.

თბილისელმა სპორტსმენმა ასე დაამთავრა წლევანდელი სეზონი. საგაისოდ კი, როგორც მისმა მწვრთნელმა განაცხადა, მარტში თბილისში დაგეგმილ საკავშირო პირად პირველობაში გამოსვლით დაიწყებს ტურნირს და იმედია, რომ მალე იგი მსოფლიოში სახელგანთქმული ოსტატების — ა. პლეხანოვის, ა. შაინუროვისა და სხვათა გვერდით დაიმკვიდრებს ადგილს.

ა. გურასაშვილი.

• • •

ჯილდოები — ღირსეულთ

227. **გ. წითლიძე** — მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

228. **თ. ჭელიძე** — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

229. **გ. ჭოხონელიძე** — ბორჯომის სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურის მასწავლებელი.

230. **რ. ხაბალაშვილი** — თბილისის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.

231. **ა. ხანგულიანი** — თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ჩოგბურთში.

232. **ფ. ხარლამპიდი** — სოხუმის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

233. **ს. ხელაშვილი** — გარდაბნის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

234. **ქ. ხმელიძე** — მახარაძის ჭაბუკთა და ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

235. **ი. ხვედელიანი** — თბილისის საავიაციო ქარხნის დირექტორი.

236. **ნ. ხოდელი** — გორი, ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

237. **კ. ხორავა** — ზუგდიდის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

238. **გ. ჯანაშია** — თბილისის „სპარტაკის“ მწვრთნელი კრივში.

239. **ა. ჯაფარიძე** — თბილისის პიონერთა სასახლის მთამსვლელობისა და ტურიზმის კაბინეტის კონსულტანტი.

240. **ბ. ჯაფარიძე** — ონის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

241. **მ. ჯიბუტი**—თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის დირექტორი.

242. **ი. ჯიშკარიანი** — თბილისის „განთიადის“ ინსტრუქტორი.

243. **ა. ჯორჯაძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის გამგე.

244. **ი. ბეროზაშვილი** — საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე.

245. **გ. გელაშვილი** — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი.

246. **თ. სისორდია** — „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგე.

247. **ს. ტაბატაძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით, საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯის ნიშნით დაჯილდოვდა ბ. ევგრაფოვი (თბილისი, ტყვიის სროლა).

• • •

ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისთვის სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა:

1. **ი. ალიხანოვი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრის გამგე.

2. **ა. ბალაევიჩი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ალპინიზმის, ტურიზმისა და სამთო-სათხილამურო სპორტის კათედრის გამგე.

3. **ვ. ვაშაკიძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

4. **თ. კაჭახიძე** — ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.

5. **ო. კიშინსკი** — მახარაძის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

6. **ა. კორინთელი** — „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

7. **მ. ლაზარევი** — ბორჯომის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

8. **ე. ლორთქიფანიძე** — ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანი, პენსიონერი.

9. **ა. მეიფარიანი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფარიკაობის, თანამედროვე ხუთჭიდის, მოტო-ველოსპორტისა და სროლის კათედრის გამგე.

10. **ქ. ოვანოდლიანი** — ახალქალაქის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

11. **ვ. ულენტი** — „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

12. **ნ. რამიშვილი** — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

13. **კ. რევია** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის საწყლოსნო სახეობების კათედრის გამგე.

14. **ბ. ფურცელაძე** — თბილისის 50-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

15. **გ. ყირმელაშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

16. **შ. ჩახნაშვილი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 215, 216, 217, 219.

ქართული ბროლის ოსტატებთან

ქუთაისის მინისტარის ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა ბოლო წლებში მუშაობა საგრძნობლად გააუმჯობესა. ფიზკულტურულ საქმიანობაში ჩაბა მუშა-მოსამსახურეთა თითქმის 65 პროცენტი, რომელთა უმეტესობა ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, ტურიზმის, სროლის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშისა და საერთო ფიზმომზადების სექციებშია გაერთიანებული. სექციებს საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვებიან გ. ენდელაძე, დ. ჭეიშვილი, შ. კინწურაშვილი, ა. აბრამოვი და სხვები. ქარხნის ტურისტებმა მბურღავ ზ. ხინგავას თაოსნობით წლეულს დალაშქრეს გელათი, იყვნენ ბათუმში, სოხუმში, რიწის ტბაზე, გაგრაში და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

მინისტარის ქარხნის ფიზკულტურელთა კოლექტივის მუშაობის გაუმჯობესებაზე ისიც მეტყველებს, რომ „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადაში II ჯგუფის გუნდებს შორის მეორე ადგილი დაისაკუთრეს, ტყვიის სროლაში, ჭადრაკსა და შაშში კი პირველობა მოიპოვეს.

კოლექტივის წარმატებას ხელი შეუწყო საქარხნო ჩემპიონატების ხშირად გამართვამ. ამგვარ ტურნირებს წინ უძღვის საამქროების პირველობები. საამქროთა შორის ყველაზე უკეთ ბროლის საამქროს კოლექტივი მუშაობს. აქაური სპორტსმენები კარგა ხანია უძლიერესის სახელს არ თმობენ ჭადრაკში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. სამაგიეროდ, ფრენბურთში, შაშსა და ტყვიის სროლაში კარგი გუნდები ჰყავს სამანქანე-საღუმელე საამქროს.

ფიზკულტურული მუშაობის კიდევ უფრო ამაღლებისთვის სათანადოდ ზრუნავს ქარხნის დირექცია. მისი მხარდაჭერით შენდება გასახდელები და საშხაპე, მაგიდის ჩოგბურთისთვის გამოყვეს ოთახი და სხვ.

ქუთაისელი მინისტარელები ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ — გადაჭარბებით შეასრულეს ნიშნოსანთა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა.

ლ. ფაჩუაშვილი.

[illegible]

◆ ლაგოდეხი

ახლახან აქ გაიმართა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს II პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „IV საიუბილეო სპარტაკიადის შედეგები და რაიონის სოფლის სპორტსმენთა ამოცანები“.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხიც. სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეობის მოვალეობისგან პლენუმმა გაათავისუფლა ა. ჩუთლაშვილი. „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რ. ნოზაძე.

ე. ჰაბაშვილი.

◆ საჩხერე

აქ გაიმართა ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურისა და საჩხერის პიონერთა სახლის ავიამოდელისტთა გუნდების მატჩი, რომელიც ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა. ტურნირის პროგრამაში იყო რეზინისძრავიანი მოდელების, პლანერებისა და რაკეტის მოდელების შეჯიბრება. გუნდური გამარჯვება ქუთაისელებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ ჭიათურელები. საუკეთესო მოდელისტებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ა. ანასაშვილი.

◆ ქობულეთი

ჩატარდა „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ბათუმის, ქობულეთის, ხულოსა და შუახევის რაიონების გუნდები. პირველი ადგილი მოიპოვა ქობულეთის სპორტსმენთა კოლექტივმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ო. სალუქვაძე (ბათუმი), გ. ძნელაძე (ქობულეთი), ტ. გოგუა, ი. სკრილნიკოვი (ორივე — ბათუმი), თ. გოგიტიძე, გ. კაპასაკალიდი (ორივე — ქობულეთი), თ. გაბაიძე (ბათუმი), ჯ. მანელიშვილი (ქობულეთი).

ლ. ტრაპაიძე.

◆ სამტრედია

დამთავრდა რაიონის პირველობა კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ლოკომოტივის“, „განთიადის“, „კოლმეურნის“, „შრომითი რეზერვების“, „სპარტაკისა“ და განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის გუნდები. 5-დღიანი ასპარეზობის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავეს „კოლმეურნის“ კალათბურთელებმა.

ჯ. ვაშაკიძე.

◆ ოჩამჩირე

რაიონულ პირველობაზე ფეხბურთში მონაწილეობდა 11 გუნდი. საუკეთესოდ ჩაატარა გათამაშება მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა, რომელიც I ადგილზე გავიდა. II ადგილზე არიან მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლები.

რ. ჭედია.

დაამტკიცა

ოლიმპიადას შეიძლება სპორტული მოდების დამკანონებელიც ვუწოდოთ. ყველაფერი, რაც გასინჯული და დამტკიცებულია ოლიმპიურ თამაშებზე, მტკიცედ იკიდებს ფეხს სპორტში, იღებს ცხოვრების საგზურს.

ეს შეეხება არა მარტო შეჯიბრებათა წესებს, რაც არც თუ იშვიათად იცვლება ოლიმპიურ ასპარეზობათა მსვლელობის დროს თუ მათ შემდეგ, ეს შეეხება ტაქტიკასა და ტექნიკას, აგრეთვე, ახალ სახეობათა აღმოცენებასაც კი.

მივმართოთ ისტორიას. 1896 წლის 10 აპრილს, პირველი ოლიმპიური თამაშების დროს, სტარტი მიეცა უჩვეულო გარბენს. სპორტსმენებს უნდა დაეფარათ დაახლოებით 40 კილომეტრი სოფელ მარათონიდან ათენამდე. ეს დისტანცია შემოიღეს იმ ბერძენი მებრძოლის პატივსაცემად, რომელმაც 2 ათასზე მეტი წლის წინათ ათენის მცხოვრებლებს სპარსეთის უძლეველ არმიაზე გამარჯვება აცნობა.

— კი მაგრამ, — შეიძლება გვითხრან, — მარათონული დისტანცია სრულიადაც არ გახლავთ ასეთი. ყველასთვის ცნობილია, რომ მისი სიგრძე 42 კილომეტრი და 195 მეტრია.

სწორია, მაგრამ იცით, როგორ გაჩნდა ეს მეორე დისტანცია?

1908 წელს ლონდონში IV ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა. მსაჯებმა დაკვირვებით გადაზომეს 40 კილომეტრი და 200 მეტრი ვინძორის გარეუბნიდან (სადაც საზაფხულო სამეფო ციხეა) ლონდონის ოლიმპიურ სტადიონამდე. მაგრამ ინგლისის მეფემ, ედუარდ VII მოულოდნელად განაცხადა: — გადაიტანეთ თუ შეიძლება სტარტი ჩემი ციხის კარებთან, მინდა შეჯიბრება აივნიდან ვნახო.

მსაჯებმა მოითათბირეს. ალბათ არც ისე პრინციპულნი იყვნენ და დასთანხმდნენ: დისტანცია გაზარდეს. ახლა საასპარეზო მანძილის სიგრძე 41 კილომეტრი და 842 მეტრი იყო. შეჯიბრების ჩასატარებლად მოემზადნენ, მაგრამ დედოფალმა ალექსანდრამ მსაჯებს სთხოვა ფინიში ლოჟის წინ მოეწყოთ. ტრასას კიდევ 358 მეტრი მიუმატეს — 42 კილომეტრი და 195 მეტრი. ასე გაჩნდა ახალი მარათონული დისტანცია, ასეთივე დარჩა იგი დღემდე.

მეორე ოლიმპიურ თამაშებში — 1900 წელს, პარიზში, განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია თარჯმრბენთა შეჯიბრებამ.

იმჟამად თარჯრბენი მწყემსების სპორტი იყო. ინგლისში ცხვრების გადასარეკად გადასატან თარჯებს ხმარობდნენ. დღესასწაულების დროს მწყემსების საყვარელი გართობა ამ თარჯებზე ხტომა იყო.

მწყემსების შეჯიბრება მოეწონათ სპორტსმენებს და მათაც დაიწყეს ამ ახალ სახეობაში ვარჯიში. დიდი ხნის განმავლობაში თარჯებზე ფეხებმოკეცილი ხტებოდნენ. მაგრამ, აი, ოლიმპიადის სტარტზე გამოვიდა ამერიკელი სპორტსმენი ალვინ კრენცლეინი. იგი პირველი მიხვდა, ასე ხტომა მოუხერხებელია — სისწრაფე იკარგება. სულ სხვაა, როცა თარჯს გადააბიჯებ, მაშინ სისწრაფე არ კლებულობს, პირიქით, თარჯმრბენის მოძრაობაც უფრო სწრაფი და ნარნარია.

პარიზის ოლიმპიურ თამაშებში კრენცლეინმა პირველად გამოიყენა მის მიერ შემუშავებული მეთოდი და გაიმარჯვა. ასე გაჩნდა თარჯის გადალახვის ახალი ტექნიკა. რეკორდები განუხრელად წავიდა მაღლა.

ბადროს ტყორცნა მძლეოსნობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. ძველ საბერძნეთში ბადროს ქვის კვარცხლბეკიდან ტყორცნიდნენ. ბადროს მტყორცნელის მოძრაობა უკვდავყო დიდმა მოქანდაკემ მირონმა, რომელმაც მარმარილოში გამოკვეთა მისი ფიგურა. სპორტსმენები დიდხანს ცდილობდნენ მიებაძათ მარმარილოს ბადროს მტყორცნელისთვის, კვარცხლბეკზე დგებოდნენ და ქანდაკების მსგავს პოზას იღებდნენ. ამ სახეობაში პირველ ოლიმპიადაშიც კვარცხლბეკიდან ასპარეზობდნენ. შედეგები მოკრძალებული იყო, რეკორდი 30 მეტრსაც არ აღწევდა.

და აი, შეიმუშავეს ტყორცნის ახალი მეთოდი ბრუნვით. მტყორცნელი კვარცხლბეკიდან ჩამოვიდა და წრეში დადგა. ამან მას საშუალება მისცა მძლავრად შეტრიალებულიყო, სწრაფი და ძლიერი მოძრაობით გაეგზავნა ბადრო. იარაღი ბზრიალასავით მიფრინავს, რაც ტყორცნის მანძილს საგრძნობლად ზრდის. ახალმა მეთოდმა მაშინვე როდი ჰპოვა აღიარება, იგი 1906 წელს გამოცადეს ათენში, ოლიმპიური თამაშების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ასპარეზობაში. ერთმანეთს შეხვდა მსოფლიოს ორი უძლიერესი ბადროს მტყორცნელი — ფინელი იარვინენი და ამერიკელი შერიდანი. ფინელმა ბადრო ტყორცნა ძველი ბერძნული მეთოდით 35 მეტრსა და 17 სანტიმეტრზე, ამერიკელმა 41 მეტრი და 16 სანტიმეტრი აჩვენა ახალი მეთოდის გამოყენებით. ყველა დარწმუნდა, რომ თანამედროვე მეთოდი გაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში გაიმართა ლელობურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. ამ ასპარეზობაში ყველას ჩოხატაურის ავტოსატრანსპორტო კანტორის სპორტსმენებმა აჯობეს.

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი — ჩოხატაურის ლელობურთელთა გუნდი.

ფოტო ი. შაქარიშვილისა.



არის ორი ოსტატი!

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოშაშეთა ტურნირი მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი, რომელშიც უკონკურსოდ ასპარეზობდა ცნობილი მინსკელი ოსტატი გ. ხაცკევიჩი. მონაწილეთა შორის იყვნენ ოსტატები ბ. სიმონიანი, ი. შაქაროვი, ა. ბაბაიანი, ფ. ბახტიოზინი, ა. ალალაროვი, ი. ასრიევი (ყველა — ბაქო), ერევნელი ს. შიროიანი, თბილისელები თ. ბარამიძე, ს. პახლაჯიანი, ოსტატობის კანდიდატები თბილისელები ი. სპესივცევი, გ. ჩოტულიდი, ს. საგიევი და სოხუმელი გ. ბარამიძე.

ოსტატის წოდების მისაღებად დაწესებული იყო 7,5 ქულა. ასპარეზობამ რესპუბლიკას ორი ოსტატი შესძინა: ესენი არიან ჩოტულიდი და საგიევი. თითოეულმა სწორედ 7,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ ამით ისინი მხოლოდ V-VI ადგილების გაყოფით დაკმაყოფილდნენ. გაიმარჯვა ალალაროვმა — 9,5 ქულა. II ადგილზეა სიმონიანი — 8,5. III-IV ადგილები გაიყვეს ასრიევმა და ბახტიოზინმა — 8-8. საინტერესოა, რომ ასპარეზობა დაუმარცხებლად განვლეს ალალაროვმა, სიმონიანმა, ასრიევმა და ჩოტულიდიმ.

ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურისა და გამოტოვებული შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● **„სპარტაკი" (ცხინვალი) — „სამცხე" (აწყური) 1:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

● **„კოლმეურნე" (წალენჯიხა)— „ბახმარო" (ჩოხატაური) 3:2. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).**

სწრაფ, ტემპიან დასაწყისს მოჰყვა შენგელიას მიერ სტუმრების კარში გატანილი გოლი. შესვენების შემდეგ ეს ბურთი გაქვითულ იქნა მოწერელიას მიერ და წალენჯიხელმა ფეხბურთელებმა მაშინვე სასწრაფო ზომებს მიმართეს, გააძლიერეს იერიშები. შელიას და ხატიაშვილის დარტყმების შემდეგ „კოლმეურნე" უკვე წინ იყო — 3:1. მატჩის დასასრულამდე „ბახმარომ" შეძლო 1 ბურთით შეემცირებინა განსხვავება ანგარიშში — 2:3.

● **„სინათლე" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 0:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

მატჩი საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. ორივე გუნდის კართან საკმაოდ იქმნებოდა სახიფათო სიტუაცია და რომ თავდამსხმელებს მეტი ყურადღება გამოეჩინათ ამ მომენტებში, მატჩი უთუოდ არ დამთავრდებოდა ასეთი ანგარიშით.

● **„ფეიქარი" (წულუკიძე) — „ისანი" (თბილისი) 2:3. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).**

მატჩის-ბედი გადაწყვიტა დასაწყისმა, რომელიც „ისანმა" ძალზე ძლიერად ჩაატარა: მე-13 წუთზე იგი უკვე წინ იყო ანგარიშით 2:0. მასპინძლები ბევრს ეცადნენ შეეტანათ გარდატეხა თამაშში. თითქოს მიაღწიეს კიდეც, მაგრამ თბილისელებმა საბოლოოდ მაინც შეძლეს თავიანთ სასარგებლოდ დაემთავრებინათ თამაში — 3:2.

● **„მესხეთი" (ახალციხე) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) 0:0. მსაჯი გ. გოგაშვილი (თბილისი).**

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

სტუდენტებმა ანგარიში გახსნეს მე-19 წუთზე (ქეიშვილი) და მაშინვე მათ კარში გატანილ იქნა საპასუხო გოლი — 1:1. შემდგომმა დაძაბულმა ბრძოლამ მინიმალური განსხვავებით წარმატება მოუტანა თბილისის გუნდს. გადამწყვეტი ბურთი გაიტანა შავდიამ.

● **„კოლხეთი" (ცხაკაია) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).**

● **„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „აერო" (გალი) 4:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

გალელმა ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს მატჩის პირველი ნახევარი. შემდგომში მათ მთლიანად დათმეს ინიციატივა და დიდი ანგარიშითაც განიცადეს დამარცხება.

● **„მერცხალი" (მახარაძე) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

მასპინძლები უკეთ შეეგუენ სველ მინდორს და პირველივე წუთებიდან მიაღწიეს სერიოზულ უპირატესობას. პირველი 30 წუთის შემდეგ „ბახმარო" აგებდა ანგარიშით 0:4. ამის შემდეგ მახარაძელთა შეტევების სიმწვავემ მოიკლო და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

● **„კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „სამცხე" (აწყური) — 1:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

თბილისის არმიელთა გუნდს წაგება ჩაეთვალა მახარაძის „მერცხალთან" შეხვედრაში.

II ქვეჯგუფი. „ცეცხლაური" (ქობულეთის რაიონი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:3, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) 4:0.

ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირი

I ზონა. თეთრი წყარო — ბოგდანოვკა 8:1.

II ზონა. ბათუმი — მახარაძე 3:0, ქუთაისი — გუდაუთა 1:0, მახარაძე — ჩხოროწყუ 0:0, გუდაუთა — ბათუმი 4:1.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 12 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხალი" (მახარაძე)	38	22	13	3	53—19	57
„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	40	25	7	8	52—25	57
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	40	24	7	9	68—30	55
„დურუჯი" (ყვარელი)	37	22	7	8	65—35	51
„კოლხეთი" (ცხაკაია)	40	19	12	9	70—57	50
„სინათლე" (თბილისი)	38	17	13	8	51—27	47
„მესხეთი" (ახალციხე)	37	18	10	9	53—34	46
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	38	18	8	12	68—46	44
„ნარინჯი" (ბათუმის რაიონი)	38	13	14	11	60—53	40
„განთიადი" (ბორჯომი)	37	16	8	13	47—66	40
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	37	14	11	12	50—41	39
„გარეჯი" (საგარეჯო)	38	13	12	13	51—56	38
„სამცხე" (აწყური)	40	13	12	15	27—38	38
ასკ (თბილისი)	39	14	8	17	39—50	36
„აერო" (გალი)	39	13	9	17	41—52	35
„ქართლი" (გორის რაიონი)	38	12	10	16	34—49	34
„ფეიქარი" (წულუკიძე)	38	11	8	19	40—49	30
„სპარტაკი" (ცხინვალი)	36	8	12	16	35—44	28
„ისანი" (თბილისი)	40	7	14	19	31—56	28
„ბახმარო" (ჩოხატაური)	38	7	12	19	45—61	26

ქართულ ჭიდაობაში „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ამასწინანდელ ჩემპიონატში განსაკუთრებით საინტერესო იყო მსუბუქი წონის ათლეტების — კასპელ ჯ. გუთნიაშვილისა და მცხეთელ ა. წიკლაურის ორთაბრძოლა, რომელიც პირველის (სურათზე ქვემოდან) გამარჯვებით დამთავრდა. გუთნიაშვილმა ამ ტურნირში ჩემპიონობა, ხოლო წიკლაურმა მეორე ადგილი დაიკავა.

ფოტო ი. იუნაევისა.

როცა ბაზებიც ექნებათ

დამთავრდა გორის საკონსერვო კომბინატის შიდასაკოლექტივო ჯანმრთელობის სპარტაკიადა, რომელიც ოქტომბრის ზეიმს მიეძღვნა. პროგრამაში იყო 9 სახეობა. სტარტზე 250 თანამშრომელი გამოვიდა. ყველას ანგარანის სპორტსმენებმა აჯობეს. მათ პირველობა მოიგეს ფეხბურთში, მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში, კალათბურთსა და ტურისტულ მრავალჭიდში. ჭადრაკში ჩემპიონი გახდა კ. მაკასარაშვილი, მაგიდის ჩოგბურთში — მთავარი საამქროს ინჟინერი ვ. ჩიჩუა, შაშში — სამურაბე საამქროს გუნდის წევრი ც. ბუქულაშვილი.

კომბინატში ფიზკულტურული მუშაობა კიდევ უფრო იმატებს, როცა მწყობრში ჩადგება მშენებარე სპორტული მოედნები.

ი. თევდორაშვილი.

გორი.

ოლიმპიადამ

ლებით ხელსაყრელია. მას შემდეგ ბადროს ასე ტყორცნის მსოფლიოს ყველა მძლეოსანი.

სპორტული წესები თავისთავად როდი ჩნდება. მას კი არ იგონებენ, ცხოვრებიდან იღებენ. ცხოვრება გვიკარნახებს: ეს კარგია, ეს უნდა გადმოვიღოთ. მსაჯებს კი თავიანთ კანონებში ახალ-ახალი სიახლე შეაქვთ.

აი, რა მოხდა 1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში. არბიტრმა ხალიჩაზე გამოიძახა საშუალო წონის მოჭიდავეები რუსეთის წარმომადგენელი მარტინ კლეინი და მსოფლიოს ჩემპიონი ფინელი ალფრედ ასიკაინენი.

როგორც ცნობილია, ახლა ყოველი წყვილისთვის ჭიდაობის დროა დაწესებული. წინათ ასე არ იყო. ჩვეულებრივ, შეხვედრა ერთ საათს გრძელდებოდა. თუ ამ ხნის განმავლობაში ვერც ერთი მხარე ვერ მოიპოვებდა წმინდა გამარჯვებას, პირველობა მეტი ქულის დამგროვებელს ენიჭებოდა. ფინალური შეხვედრა სრული გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო, დროს მნიშვნელობა არ ჰქონდა. მეტოქეებს შეეძლოთ ერთ საათს, ორ საათს, მთელი დღე ებრძოლათ, მანამ, სანამ ერთ-ერთი ბეჭებზე არ დასცემდა მეორეს.

კლეინისა და ასიკაინენის ორთაბრძოლა დიდხანს გაგრძელდა: 10 საათსა და 15 წუთს, მანამ, სანამ კლეინმა ბეჭებით ხალიჩას არ გააკრა მეტოქე. შემდეგ წესებს გადახედეს და მოჭიდავეებს რეგლამენტი დაუნიშნეს. ეს წესები კიდევ ბევრჯერ დაზუსტდა. ახლა კი შეხვედრის დრო 9 წუთია—3 სამწუთიანი პერიოდი. ყოველი პერიოდის შემდეგ მოჭიდავეებს ერთწუთიანი დასვენების უფლება ეძლევათ.

ამ რამდენიმე წლის წინ ნაკლებად ცნობილმა ესპანელმა სპორტსმენმა ფელიქს ერასკინმა 83 მეტრსა და 40 სანტიმეტრზე ტყორცნა შუბი. ეს შედეგი არც იმდენად ჩამორჩებოდა მაშინდელ მსოფლიო რეკორდს. მაგრამ მძლეოსნობის მცოდნეთა ცნობისმოყვარეობას ეს როდი ამოძრავებდა. სხვა რამ გაუკვირდათ: ერასკინი შუბს უჩვეულო მეთოდით ტყორცნიდა. ესპანეთში უძველესი დროიდან არსებობს სპორტის ხალხური სახეობა — ღერძის ტყორცნა. მეტრიან და მეტრნახევრიან ეტლის ღერძს ტრიალით ტყორცნიდნენ როგორც ბადროს, ამ მეთოდს ასეც უწოდეს — „ბადროს-ტყორცნული". ღერძი ფორმით შუბს ჰგავდა. და აი, სპორტსმენმა მოიფიქრა, რომ შეიძლება შუბიც ბადროსავით ტყორცნოს.

წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბევრი შუბის მტყორცნელი ტყორცნის წინ ერასკინის მსგავსად სამ ტრიალს ასრულებდა.

ბევრი წინასწარმეტყველებდა შუბი შეიძლება 100 მეტრს გადააცილოო.

მაგრამ აქ საქმეში ჩაერივნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები.

— შუბი ძველი ტრადიციული მეთოდით უნდა ვტყორცნოთ, — განაცხადეს მათ. — არავითარი პირუეტები. მტყორცნელი ერთი წამითაც არ შეიძლება შებრუნდეს ზურგით ტყორცნის მიმართულებით.

ასე ჩაწერეს წესებში.

გიამბობთ კიდევ ერთ სიახლეზე, რომელიც ოლიმპიადამ უარყო.

წყლის ქვეშ უფრო სწრაფად შეიძლება ცურვა, ვიდრე წყალს ზემოთ. სპორტსმენებმა არ დააყოვნეს და ეს უპირატესობა გამოიყენეს. მთელი დისტანციის მანძილზე ბრასისტები წყლის ქვეშ ცურავდნენ.

პოლონელმა მოცურავემ პეტრუსევიჩმა ამ მეთოდით 100 მეტრი დაფარა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 200 მეტრზე მსოფლიო რეკორდსმენი გახდა იაპონელი ფურუკავა, რომელმაც პეტრუსევიჩის რეკორდი მოხსნა.

რა მოხდა შემდეგ? ფურუკავა „წყალქვეშ ცურვის" პირველი და უკანასკნელი ჩემპიონი აღმოჩნდა. მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში ის იყო აღნიშნეს, რომ მასარუ ფურუკავამ ოქროს მედალი მოიპოვა ბრასის სტილით ცურვაში და თითქმის მაშინვე გამოცხადდა ცურვის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება წყალქვეშ ცურვის აკრძალვის შესახებ. გადაწყდა, რომ მოცურავე სტარტის შემდეგ მაშინვე უნდა ამოტივტივდეს და ასე გაიაროს მთელი დისტანცია.

სპორტსმენები იძულებული გახდნენ შეეცვალათ ცურვის მეთოდიკა. რეკორდების იერიში წარმატებით გრძელდება ახალი წესების მიხედვითაც.

მეხიკოს ოლიმპიური თამაშები აუცილებლად შეიტანს ცვლილებებსა და შესწორებებს წესებში. სპორტის მოყვარულები მოუთმენლად ელიან ოლიმპიურ ბატალიებს შორეულ კონტინენტზე და ასევე ინტერესით შეხვდებიან მის სიახლეებს.

ა. სვეტოვი.

ტუმბა ყინულს დაუბრუნდა

გაზეთების ფურცლებზე კვლავ გამოჩნდა შვეციის საუკეთესო ჰოკეისტის სვენ ტუმბას სახელი, რომლის შესახებ არავის გაუგონია ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. და აი, ყველას მოულოდნელად ჰოკეის 36 წლის ოსტატმა კვლავ დაიწყო თამაში, ამჯერად შვეციის II ლიგის ერთ-ერთ კლუბში.

სპორტისგან „დასვენების“ წლებში სვენ ტუმბამ დაწერა მემუარების წიგნი: „ეს რა ცხოვრებაა!“, რომელიც მალე გამოვა ბაზარზე. თავის წიგნში ტუმბა გულახდილად ლაპარაკობს იმაზე, რაც ნახა და გადაიტანა.

როცა წიგნის წერა დაამთავრა, ტუმბას გულმა ვერ გაუძლო და კვლავ ყინულს მიაშურა. ახალი სეზონის თამაშებისთვის იგი ცოტას ემზადებოდა, სულ რაღაც სამი კვირის განმავლობაში, მაგრამ ინტენსიურად. პირველსავე მატჩში სახელგანთქმულმა შვეციელმა ჰოკეისტმა დაამტკიცა თავისი მაღალი ოსტატობა. მაყურებელმა ნახა ფიცხი მოთამაშე, რომელიც ჩინებულად ფლობდა ციგურებზე სრიალს, შეეძლო ეხელმძღვანელა პარტნიორებისთვის და... არ სურდა დაეტოვებინა მოედანი მოთამაშეთა შეცვლის დროსაც. მართალია, უკანასკნელი ამბავი იმით აიხსნება, რომ ტუმბამ ორი პერიოდის განმავლობაში ვერ შეძლო მეტოქის კარის აღება.

გადამწყვეტი პერიოდის წინ შვეციური გაზეთების რეპორტიორებმა გაახსენეს ტუმბას, რომ საჭიროა შაიბის გატანა: „საჭიროა გოლი, შენი გოლი, სვენ! სურათზე თუ თქვენი გატანილი შაიბა არ იქნა აღბეჭდილი, რედაქციაში ვერ დავბრუნდებით“.

ტუმბამ თითქოს ყურად იღო რეპორტიორების თხოვნა და მესამე პერიოდში ზედიზედ ორი შაიბა გაიტანა.

როგორც ცნობილია, სვენ ტუმბას გვარი პირველი წერია შვეციის საუკეთესო ბომბარდირების სიაში. მის ანგარიშზეა 80 გატანილი შაიბა, 23-ით მეტი, ვიდრე სიაში II ადგილზე მყოფ მილს ნილსონს აქვს. შეძლებს კი ვეტერანი გაზარდოს თავისი სარეკორდო ციფრი? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქვს კი შანსები დაუბრუნდეს შვეციის ოლიმპიურ ნაკრებს? ამაზე ახლა ბევრს კამათობენ. ვისაც სასწაულის არ სჯერა, აყენებს მეტად სოლიდურ არგუმენტს: „თანამედროვე ჰოკეიში შეუძლებელია მაღალი ფორმის შენარჩუნება სრულწლიური სისტემატური ვარჯიშის გარეშე. ტუმბას დიდხანს არ უთამაშია და სამი კვირის ვარჯიში ხომ უკმარია მაღალი ფორმის შესანარჩუნებლად“. ოპტიმისტები სულ სხვაგვარად ფიქრობენ: „ტუმბა ტუმბაა, — აცხადებენ ისინი, — ამიტომ შეიძლება ყველაფერი მოხდეს“.

ა. დუმოვი,
აას-ის კორესპონდენტი შვეციაში.

ცხელი შოთი

აი, რატომ არ დამტკიცდა პროექტი

ბრაზილიის პარლამენტში განიხილავდნენ პროექტს პროფესიონალი ფეხბურთელებისათვის პენსიის დანიშვნის თაობაზე. დეპუტატმა ჟერალდომ წამოაყენა წინადადება საამისო ფონდის შესადგენად მატჩებზე შესასვლელი ბილეთების ფასი 3 პროცენტით გაეზარდათ. ორმა კომისიამ პროექტი მოიწონა, მაგრამ პლენარულ სხდომაზე მან ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბევრი დეპუტატი, რომელიც სპორტის საქმეებში ერეოდა, ფეხბურთის მატჩზე წასულიყო.

მახარობლები...

კარგი გასართობი გაუჩნდათ მაყურებლებს ორი ბელგიური გუნდის „გორჰემის“ და „ბროდინგენის“ მატჩის დროს. თამაში დაიწყო თუ არა, მოფრინდა ორი ყარყატი, რომლებიც მოედანს დასტრიალებდნენ მთელ 90 წუთს. ყარყატების ვიზიტის მთავარი „აზრი“ მხოლოდ მატჩის შემდეგ გაიგეს, როცა ფეხბურთელები გასახდელში დაბრუნდნენ. იქ მათ შეიტყვეს, რომ „გორჰემის“ 2 ფეხბურთელი ბედნიერი მამები გამხდარიყვნენ. ვადენბერგს ვაჟი შეძენოდა, კოლმანსს კი — ტყუპი ქალიშვილი!

11 მილიონი...

უეფა-ს მონაცემებით, ევროპის 33 ქვეყანაში 11 მილიონი მომქმედი ფეხბურთელია რეგისტრირებული. სსრ კავშირს სპორტის ამ სახეობის 3.820.000 მიმდევარი ჰყავს. ამ თავისებურ კლასიფიკაციაში მომდევნო ადგილებზე არიან გფრ (2.345.795), ინგლისი (750.000), ჰოლანდია (577.690), საფრანგეთი (516.468), გდრ (349.875), ჩეხოსლოვაკია (330.840) და ა. შ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ისლანდიას, რომელსაც ცხრილში ბოლო ადგილი უკავია, მხოლოდ 2000 ფეხბურთელი ჰყავს.

მოხერხებული დამცველი

ინგლისის ქალაქ ბერნსლის (იორკშირის საგრაფო) სასამართლო საგონებელში ჩავარდა. ქვეყანაში, რომელიც ფეხბურთის სამშობლოდ ითვლება, მოსამართლე მთელ 25 წუთს ფიქრობდა იმაზე, თუ რას ნიშნავს სიტყვა ფეხბურთი.

ასამართლებდნენ ოთხ 15-16 წლის ბიჭს. ისინი ფეხბურთს თამაშობდნენ ქუჩაში, რაც კუნძულის ტერიტორიაზე აკრძალულია პოლიციის მიერ.

მოხერხებულმა დამცველმა დამნაშავენი იმით დაიხსნა, რომ დაამტკიცა: დანაშაულზე წასწრების მომენტში ბრალდებულნი ბურთს ფეხს კი არა, თავს ურტყამდნენო.

პატარა ჩემპიონი

„თუ წავიქეცი, მაშინვე ვდგები. არ მქონია რაიმე ხიფათიანი შემთხვევა“ — ასე განუცხადა კორესპონდენტებს ცნობილმა ინგლისელმა მოტოციკლისტმა კირი დომ.

ორი მოტორბოლის ჩემპიონი... 6 წლისაა და მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენია.

კირი 3 წლის იყო, რომ მამამისმა — ედუარდმა, თავგამოდებულმა მოტოციკლისტმა, პროფესიით ავტომექანიკოსმა, აუწყო შვილს მანქანა. ბიჭუნა ძალზე ნიჭიერი და არაჩვეულებრივად გამბედავი აღმოჩნდა.

ამჟამად 6 წლის კირი ლონდონის „ახალგაზრდა მოტოციკლისტთა კლუბის“ ყველაზე უმცროსი წევრია.

პატარა კირი უკვე 100-ჯერ გამოვიდა სხვადასხვა შეჯიბრებაში, და საერთო ჯამში 8000 კმ გაირბინა მოტოციკლით. მამამისის მიერ აგებულ ახალ პატარა მოტოციკლით კირი საათში 80 კმ ავითარებს.

• • •

სურათზე: კირი დისტანციაზე.

კენგურუ და... გოლფი

ავსტრალიაში ფიქრობენ, რომ ცხოველებში ყველაზე „ჭკვიანი“ კენგურუა. „ცხოველთა მთელი სამყაროდან მხოლოდ კენგურუს უყვარს და ესმის, მხოლოდ კენგურუ მისდევს გატაცებით სპორტს“, — წერდა ახლახან სიდნეის სპორტული გაზეთი.

ამ სიტყვებში არის ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი. რამდენიმე წლის წინ რომელიღაც ბიზნესმენს აზრად მოუვიდა, რომ რინგზე გამოეყვანა მოკრივე-პროფესიონალი კენგურუ. ცხოველმა მეოთხე რაუნდში დაამარცხა ადამიანი. მაშინ ამბობდნენ, რომ ეს განგებ მოაწყვეს სენსაციის მიზნითო. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ავსტრალიაში დღესაც ხშირად ტარდება კენგურუსა და ადამიანის, ან არადა, ორი კენგურუს შეხვედრა კრივში.

სურათზე, რომელიც ჟურნალ „ცაიტ იმ ბილდიდანაა“ (გდრ) გადმობეჭდილი, კენგურუ გოლფს „ეუფლება“. გოლფი მეტად გავრცელებულია ავსტრალიაში. კენგურუს ძალზე იტაცებს ეს თამაში და ზოგჯერ გამოცდილ სპორტსმენებზე უკეთეს შედეგებსაც აღწევს. ავსტრალიაში უკვე ტარდება ამ ცხოველების მატჩები გოლფში. აი, რას ამბობს უიტმენი (იხილე სურათი), რომელიც კენგურუს გოლფის თამაშს ასწავლის: „კენგურუსთან თამაში გაცილებით საინტერესოა. იგი არასოდეს არ უხეშობს, ზედმიწევნით იცავს წესებს და მუდამ სპორტული ბრძოლის ჭეშმარიტი ენთუზიაზმითაა ალსავსე“.

ვინ გაიმარჯვებს: ჯო ლუისი თუ კასიუს კლეი (?!)

ამერიკაში გამოიგონეს ორიგინალური ელექტრონული მანქანა, რომლის გამოცდა დაიწყეს ყველა დროის საუკეთესო მოკრივეების ტურნირით. სათანადოდ პროგრამირებულმა გამომთვლელმა მანქანამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას: როგორ დამთავრდებოდა ჯო ლუის — კასიუს კლეის შეხვედრა, ეს მოკრივეები რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს თავიანთი კარიერის მწვერვალზე.

ამჟამად მიმდინარეობს... გამოთვლა.

მეოთხედფინალების სენსაცია იყო მაქს ბერის გამარჯვება ჯ. ჯონსონზე. გამომთვლელმა მანქანამ დაადგინა, რომ ბერმა მოიგო ქულებით 15-რაუნდიანი ბრძოლა. ქულებითვე მოიგო როკი მარჩიანომ ჯინ ტუნეის; მოკრივეთა ტურნირის შემდეგ სპორტის სხვა სახეობათა რიგიც მოვა. მოუთმენლად ელიან ფეხბურთის მატჩებს ელექტრონული მანქანით, განსაკუთრებით კი — ბრაზილიის 1958 წლისა და ინგლისის 1966 წლის ნაკრებთა სავარაუდო შეხვედრის შედეგს.

ბრაკს ანკეტილივით როდი შეეშინდა

ამას წინათ რომის ხისსაფარიან ველოტრეკზე გამართულ შეჯიბრებაში ბელგიელმა ფერდინანდ ბრაკმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. 1-საათიან რბოლაში მან 48 კილომეტრი და 93 მეტრი აჩვენა. ეს ძველ რეკორდს, რომელიც ფრანგ რ. რივიერას ეკუთვნოდა, 747 მეტრით სჯობია. მართალია, მანამდე რივიერას რეკორდს მილანის ვიგორელის ტრეკზე ასპარეზობაში 148 მეტრით გადაამეტა ჟ. ანკეტილმა, მაგრამ, როგორც ცნობილია, მან მაშინ უარი თქვა საექიმო შემოწმებაზე. ამიტომ მისი მიღწეული მსოფლიო რეკორდად არ დამტკიცდება. ბრაკმა კი ასპარეზობის დამთავრებისთანავე მიაშურა ექიმებს, რომლებმაც მას დოპინგის ვერავითარი კვალი ვერ აღმოუჩინეს.

1-საათიან რბოლაში პირველი მსოფლიო რეკორდი 1893 წელს ფრანგმა დეგრანჟმა დაამყარა. პარიზის ხისსაფარიან „ბუფალოს“ ტრეკზე მან 35,325 კილომეტრის სისწრაფით გაიქროლა. მას მერე მსოფლიოს რეკორდი 22-ჯერ გაუმჯობესდა.

ახალი მსოფლიო რეკორდსმენი 28 წლისაა. საინტერესოა აღინიშნოს ის, რომ მისმა ველოსიპედმა, რომლის წონა სულ რაღაც 5950 გრამს შეადგენდა, პირველ და ბოლო 3 კილომეტრზე ერთნაირი დრო (3.42,0) აჩვენა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ბრაკის მიღწეულის მსოფლიო რეკორდად დამტკიცებას წინ არაფერი უდგას.



რა არის „იულუს, იულუს“?

რა სახის ველოსიპედს არ შეხვდებით ამ ქვეყნად. აღარ ვლაპარაკობთ ერთ, ორ და სამთვლიანებზე, ეს უკანასკნელი ძალზე გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში და მას „საოჯახო ველოსიპედად“ ნათლავენ. არის ეტლიანი ველოსიპედი ჩვილი ბავშვების გადასაყვანად, ცოლქმრული და სხვ.

მაგრამ ისეთი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა შვეიცარიის გზებზე, არავის უნახავს. მას ეწოდება „იულუს, იულუს“ (დახედეთ სურათს, რომელიც ამოღებულია გფრ-ის ჟურნალ „ბუნტე ილიუსტრირტედან“). 30-თვლიანი მანქანა ერთდროულად ემსახურება 28 კაცს. ველოსიპედისტებს შეუძლიათ განავითარონ 35 კმ საათში.

მეფური მაგალითი

ჰოლანდიის ქალაქ ნეიმეგენში ერთ-ერთი დღესასწაულის დროს, როგორც წესი, ოთხდღიანი ლაშქრობა ეწყობა. ამ ლაშქრობის ყოველმა მონაწილემ დღეში 50 კილომეტრი უნდა გაიაროს! წლევანდელი მცხუნვარე ზაფხულის მიუხედავად, 14 ათასი ფეხით მოსიარულე მაინც მოეფინა ტულიპების მხარის გზატკეცილებსა და ბილიკებს. მათ მაგალითი მისცა ჰოლანდიის ტახტის მემკვიდრის — ბეატრისას მეუღლემ — თავადმა კლაუსმა, რომელმაც პირველ დღეს სავალდებულო მანძილის გავლას 8 საათი არც კი მოანდომა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

სპორტსაზოგადოებები „განთიადი“, „კოლმეურნე“, „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „შრომითი რეზერვები“, „სპარტაკის“ ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან **ოთარ ბორისის ძე პაიჭაძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სპორტული აფიშა

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. დღეს — „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. **16 ნოემბერს. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. ბილეთების წინასწარი გაყიდვა „დინამოს“ სტადიონის სალაროებში. აბონემენტებზე 14 და 15 ნოემბერს 11-დან 18 საათამდე. საერთო გაყიდვა 16-ში 10 საათიდან.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03432